Кромѣ того, самый принципъ націонализма, требующій *обособленія каждой нации*, а слѣдовательно, и уваженія правъ всякой народности, вовсе не есть принципъ языческій, какъ утверждаютъ нѣкоторые. Языческіе народы лишены были понятія о такомъ уваженіи къ самостоятельности и особности каждой націи. Каждый народъ стремился поработить другіе народы, чтобы образовать всемірную монархію. Отъ этого происходили раздоры и войны; отъ этого отчасти они происходятъ и теперь. Такимъ образомъ нарушеніе единенія народовъ бываетъ вслѣдствіе языческаго посягновенія одного народа быть самостоятельною коллективною личностію, а таковою и желаетъ быть въ данномъ случаѣ единовѣрный намъ грузинскій народъ, когда громко заявляетъ на свое личное право быть самостоятельнымъ въ церковно-административномъ отношеніи. Что это право есть законное, что оно освящается христіанствомъ, это, кажется, не требуетъ обширныхъ доказательствъ. Христіанство есть религія свободы; ему глубоко противно всякое насиліе личности или народа надъ другими народами. Общій принципъ отношеній между людьми и народами по христіанскому ученію выраженъ въ словахъ ап. Павла, что въ церкви Христовой нѣтъ ни Эллина, ни Іудея, ни обрѣзаннаго, ни необрѣзаннаго, ни варвара, ни скиѣа и т. п. (Кол. III, II.) Слова эти, вопреки толкованію космополитовъ, видящихъ въ нихъ осужденіе націонализма, обозначаютъ лишь то, что въ церкви Христовой никто не долженъ возноситься надъ другими, что въ церкви нѣтъ преимуществъ по національностямъ, но что *каждый* народъ, какъ въ данномъ случаѣ русскій, долженъ уважать національныя различія, права и самостоятельность всѣхъ другихъ народовъ и особенно грузинскаго, этого старшаго брата по вѣрѣ во Христа,—брата, связаннаго едиными узами политической и государственной жизни и живущаго подъ однимъ небомъ, распростертымъ, какъ шатеръ, надъ нашимъ общимъ отечествомъ, великой Россіей, нынѣ вступившей

на новый и свободный, по милости Царя—Освободителя Николая II, путь историческаго развитія въ знаменательный для нея день 17-го октября 1905 года.

Мы представили достаточное количество чисто теоретических основаній въ пользу совмѣщенія обособленія народовъ съ ихъ христіанскимъ единеніемъ. Теперь мы приведемъ фактическія данныя, свидѣтельствующія о томъ, какъ церковь Христова всегда дозволяла это обособленіе народовъ, вовсе не видя въ этомъ противорѣчія своей задачѣ призывать людей къ высшему единенію.

Главною причиною обособленія народовъ служить, какъ извѣстно, различіе ихъ языковъ. Языкъ составляетъ главное выраженіе народнаго характера, такъ какъ, съ одной стороны, онъ есть созданіе этого характера, а съ другой стороны—факторъ, вліяющій на складъ и образованіе его. Какъ же относилась церковь Христова къ этому хранителю національныхъ особенностей и къ этой главной причинѣ обособленія народовъ? Извѣстный фактъ, что въ день Пятидесятницы св. апостолы получили даръ говорить на разныхъ языкахъ, показываетъ намъ, что божественная благодать какъ бы освятила это обособленіе народовъ по различію ихъ языковъ. А послѣдующая исторія церкви неопровержимо свидѣлствуетъ, что вселенская церковь хорошо запомнила это дѣйствіе благодати Божіей и никогда не уничтожала подобнаго обособленія. Проповѣдники евангелія во всѣ времена изучали языки тѣхъ народовъ, къ которымъ они шли проповѣдывать, и затѣмъ переводили Священное Писаніе и богослужебныя книги на эти языки. За исключеніемъ нѣкоторыхъ печальныхъ злоупотребленій со стороны частныхъ, помѣстныхъ церквей, вселенская церковь дозволяла богослуженіе на всѣхъ языкахъ. Покровительствуя этому церковному обособленію народовъ по ихъ языку, она утверждала, далѣе, это обособленіе и нѣкоторыми другими средствами. Прежде всего, самое раздѣленіе ея на мѣстныя церкви въ первыя времена соотвѣтствовала дѣленію на націи или народы. Такъ, по крайней мѣрѣ, приходится думать на основаніи 34-го правила апостольскаго; „епископамъ всякаго народа подобаеъ знати перваго въ нихъ“. Далѣе, въ этикѣ „народныхъ“, національныхъ церквахъ она всячески хранила исторически сложившіяся мѣстныя особенности. Когда нѣкоторые вопросы изъ церковной практики рѣшались различно, то вселенская церковь рекомендовала частнымъ помѣстнымъ церквамъ держаться того именно обычая, который исторически установился у нихъ. Она опредѣляла въ этихъ и подобныхъ случаяхъ такъ: „да хранятся древніе обычаи“, (1 вселен. соб. пр. 1-е); „подобаеъ (въ недоумѣнныхъ вопросахъ) послѣдовати обычаю каждыя страны“ (Вас. В. пр. 1). Подобныя опредѣленія ея показываютъ, что она питала глубокое уваженіе къ законному праву каждаго народа любить и хранить свои національныя особенности. Но они показываютъ также и уваженіе къ *свободѣ* и *самостоятельности* каждой частной церкви. Это уваженіе выразилось, между

прочимъ, въ многочисленныхъ правилахъ, запрещающихъ епископу производить насилие, посягать на права и самостоятельность въ управленіи другого епископа (см. 8-е прав. III всел. соб. Сравн. подобное Антиох. 9 и Карфагенскаго 67). Усвоившіе эти правила лучшіе епископы говорили поэтому: „*Мы никого не принуждаемъ, никому не даемъ закона, потому что каждый пред- стоятель свободенъ управлять своею церковью по свой волю*“ (См. Историческое обозрѣніе источниковъ церковнаго права, стр. 121) А 3-й вселенскій соборъ выразилъ и основаніе такихъ постановленій, указавъ на свободу, которую даровалъ христіанамъ Иисусъ Христосъ. „*Да не вкрадывается, — опредѣ- лилъ онъ въ 8-мъ своемъ правилѣ, — подъ видомъ священнодѣйствія надменность власти мірскія; и да не утратимъ мало по-малу непримѣтно тоя свободы, которую даровалъ намъ кровію Своею Господъ нашъ Иисусъ Христосъ, Освободитель всѣхъ человѣковъ*“.

Итакъ, вселенская церковь Христова всегда охраняла свободу и само- стоятельность національныхъ церквей, *всегда допускала* обособленіе ихъ, а слѣдовательно, и народовъ по ихъ управленію, богослужебному языку, обычаямъ мѣстнымъ и т. п. Такъ поступала она въ томъ убѣжденіи, что подобное обо- собленіе можетъ прекрасно совмѣщаться съ тѣмъ *единомысліемъ*, или съ тѣмъ *единствомъ* вѣры и любви, въ которомъ и состоитъ *высшее единеніе*.

Въ заключеніе нашей статьи укажемъ еще и на то, что вопросъ, который мы рѣшаемъ, состоитъ не въ томъ собственно, противорѣчитъ ли обособленіе какого-либо народа, напр. грузинскаго, высшему единенію, а нѣсколько въ иномъ, именно—противорѣчитъ ли оно *задачѣ* церкви призывать людей къ этому единенію. Здѣсь, по нашему убѣжденію, значительная разница.

Идеаль высшаго единенія требуетъ, чтобы и вопроса-то о самостоятельности и особенности каждаго народа не существовало у людей, чтобы всѣ народы жили между собою какъ любящіе братья, вполне признавая права и само- стоятельность каждаго изъ нихъ. Но реальное положеніе дѣлъ говоритъ, что, по недостатку такой любви, этотъ вопросъ существуетъ и что церкви пред- стоить одно изъ двухъ: или предписать каждой народности подчиненіе какой- либо другой, или же дозволить ей оградить свою самостоятельность. Если бы церковь заявила первое требованіе. если бы она уполномочила какую-либо народность, напр. русскую, подчинить въ церковно-административномъ отно- шеніи другія, то этимъ она достигла бы только *внѣшняго* единенія и вмѣсто внутренняго единенія она получила бы тайное раздраженіе въ каждой народ- ности, ибо по праву законное право народа. Столѣтній опытъ показалъ, что *внѣшнее* единеніе русской церкви съ грузинскою, основанное на подчиненіи послѣдней Святѣйшему Синоду подъ непосредственнымъ управленіемъ архіепис-

коповъ, назначаемыхъ изъ Россіи, не привело къ *внутреннему* тѣсному единенію другъ съ другомъ названныхъ церквей, но обнаружило, наоборотъ, сильное движеніе въ мѣстномъ духовенствѣ къ обособленію. Не лучше ли вмѣсто этого тайнаго, а въ послѣднее время и явнаго, внутренняго раздраженія и разъединенія двухъ народностей, родственныхъ по вѣрѣ во Христа, предпочесть разъединеніе внѣшнее, даровавъ грузинской церкви автокефалію, правильно признавая, что этимъ актомъ не устранится возможность для двухъ народностей придти съ теченіемъ времени къ *внутреннему* мирному объединенію безъ всякаго пособія объединенія *внѣшняго*.

Свящ. Н. Покровскій.

## БИБЛІОГРАФІЯ.

„Не мѣсто красить человѣка, а человѣкъ мѣсто“, говоритъ народная мудрость. Эти слова примѣнимы къ дѣятельности преосвящ. Киріона. Куда бы онъ ни прибылъ,—въ Балту ли, Херсонъ или Орель,—вездѣ основалъ археологическія общества или вдохнулъ новую жизнь въ уже существующія, но обреченныя на вѣчное прозябаніе. Преосвящ. Киріонъ въ Орлѣ только съ 1904 года, но и въ это сравнительно короткое время Орловскій церковный историко-археологическій комитетъ успѣлъ выпустить въ свѣтъ первые два тома своихъ трудовъ. Въ одномъ изъ этихъ сочиненій (стр. 502) представлено подробное историческое описаніе церквей, приходоѡвъ и монастырей Орловской епархіи, другое же есть сборникъ (стр. 442), въ который входятъ цѣнныя изслѣдованія самого еп. *Киріона* („Греческій пергаментный манускриптъ четвер. глава, найденный между рукописями Гелатскаго монастыря“), *И. Е. Евсѣева* („Описаніе рукописей, хранящихся въ орловскихъ древлехранилищахъ“), *А. Н. Шульмина* („Колонизація орловскаго края“), свящ. *Холмогорова*, *Авонскаго*, прот. *Ливанскаго*, *И. Е. Евсѣева*—Повѣсть о градѣ Курскѣ и др.

„Музей,—читаемъ въ сборникѣ (стр. IV),—оживился съ лѣта 1904 года, со времени прибытія на Орловскую кафедру преосвящ. Киріона, любителя и знатока церковной археологіи и исторіи. Для музея отведено было помѣщеніе въ верхнихъ 3-хъ комнатахъ архіерейскаго дома, съ осени 1904 г. приступлено было къ серьезному пополненію музея. По иниціативѣ преосвящ. Киріона устраиваемы были еженедѣльные собранія церковно-археологическаго комитета“.

Нынѣ, какъ говорятъ, преосвящ. Киріонъ переводится на епископскую кафедру въ Абхазію, въ край, весьма богатый церковными памятниками. Жатва въ Иверіи велика, но „жнецовъ“ мало. Ихъ ждеть родной край съ нетерпѣніемъ.

# ქართული განუყოფილება

## მკლესია და პოლიტიკა.

### I.

საერთო განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი ცვლილება შეიტანა რუსეთის სასულიერო და საერო მწერლობაში, რომელიც ოქტომბერს აქეთ შესანიშნავათ გამოაცოცხლდა, წელში გაიმართა და ცხოვრების სინამდვილეს პირდაპირ დაუწყო თვალში ცქერა. მანამდე მივიწყებული და თითქმის სიკვდილის კარამდე მიღწეული სასულიერო ჟურნალ-გაზეთები დღეს თამამათ მსჯელობენ მიმდინარე ცხოვრების სხვა და სხვა გვარს საკითხებზე, სცდილობენ გამოარკვიონ ამ საკითხთა რთული ურთიერთობა და, რამდენათაც ძალა შესწევთ, ხელი შეუწყონ ცხოვრების დახლართულ კვანძის გამოხსნას.

როგორც ვიცით, პეტრე დიდის რეფორმების შემდეგ რუსეთის ეკლესია მტკიცეთ შემასრულებელი იყო ბიუროკრატიული მთავრობის გეგმისა ხალხს ცხოვრებაში; იგი მორჩილათ ასრულებდა ყველაფერს, რასაც ზემოდან უბრძანებდნენ; ხოლო ზოგჯერ ბრძანებაც არ სჭირდებოდა, თვითონვე ახორციელებდა საერო მთავრობისათვის სასარგებლოსა და სასურველს ზომებს, განსაკუთრებით როცა საქმე ევრეთ წოდებულ „ინოვაციებს“- „არა-რუსებს“ შეეხებოდა. ერთი სიტყვით, პოზიცია სამღვდელოებისა სახელმწიფოსადმი იყო სრული სოლიდარობა საერო მთავრობასთან, ან უკეთ ბიუროკრატიის მიმართ ყურ-მოჭრილი მონობა. აქედან წარმოსდგებოდა სრული დაღუპება სამღვდელოებისა და სასულიერო ჟურნალ გაზეთებისა პოლიტიკურ მოვლენათა შესახებ: ამ საგანზე სამღვდელობას არ შეეძლო საერო მთავრობისაგან განსხვავებული აზრი ჰქონებოდა, რადგან იგი იყო მონა, ხოლო მონა რიდასი მონაა, თუ აზრიც კი საკუთარი ექნება.

მაგრამ, აგერ, გამოიკა ოქტომბრის მინიფესტი, რომელშიაც თვით-მპყრობელმა ხელმწიფემ უარჰყო თვისი განუსაზღვრელი უფლება, პრინციპი-აღურათ საქიროდ სცნო პოლიტიკურ ცხოვრებაში თვით ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა გარევა, გამოაცხადა თავისუფლება სიტყვისა, სინდისისა, კრებისა და კავშირისა. სამღვდელოება სახტად დარჩა: იგი არ მოელოდა, თუ საქმე ასეთს მსწრაფლ მსვლელობას მიიღებდა, და, ამისგამო, შეცვლილს პოლიტიკურს ცხოვრებას სრულიად მოუშაადებელი დახვდა. ერთის მხრით, ცხოვრების რევოლუციონურმა ტალღებმა და, მეორე მხრით, 17 ოქტომბრის მანიფესტმა რუსეთის უკან ჩამორჩენილს სამღვდელოებას

თვალეზი აუხილა თვის აწმყოსა და წარსულზე, დაანახვა, რომ იგი უკან ჩამორჩენია არა მარტო ცხოვრებას, არამედ თვით ბიუროკრატიულ მთავრობასაც კი, და ჩააფიქრა მომავალზე. რუსის სამღვდლოებამ მწვავეთ იგრძნო, რომ ამიერთგან ძველებურათ ცხოვრება აღარ შეუძლია, რომ აუცილებელათ საჭიროა საზოგადოებრივს ცხოვრებაში ახალი პოზიციის გამოძებნა, საჭიროა ძირითად ცვილებათა შეტანა თვით ეკლესიის მართვა-გამგეობაშიც. ამგვარათ, სამღვდლოებას გადასაწყვეტი შეექნა ორგვარი საკითხი: საეკლესიო-პოლიტიკური და წმინდა ეკლესიური.

პირველი საკითხი შეიძლება გამოიხატოს ამნაირათ: როგორი პოზიცია უნდა დაიჭიროს ეკლესიამ ხალხის პოლიტიკურისა და სოციალურ-ეკონომიური განვითარების მსვლელობაში? უნდა იღებდეს იგიც მონაწილეობას ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუ არა? და თუ უნდა იღებდეს, რაში უნდა გამოიხატებოდეს, სახელდობრ, ეს მონაწილეობა?

ამ საკითხს დასტრიალებს დღეს რუსეთის სასულიერო და, რამდენათმე, საერო მწერლობა. როგორც პოლიტიკურათ მოუშნადებელს სოციალურ ჯგუფს შეფერის, რუსეთის სამღვდლოებაც ამ საკითხზე ჯერ-ჯერობით ერთს გადაწყვეტილს პასუხს ვერ იძლევა, მისი აზრი ამ საგნის შესახებ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჯერ კიდევ გამორკვევის ახლად ფეხ-ადგმულს პროცესშია. მაგრამ მაინც შესაძლოა იმ ხაოსებურს მასალაში, რასაც ამის შესახებ დღეს რუსეთის მწერლობა იძლევა, ორი უმთავრესი, ერთი მეორეს საწინააღმდეგო, მიმართულება გავარჩიოთ. ერთი მათგანი პირდაპირ ურჩევს სამღვდლოებას და ეკლესიას—პოლიტიკურ ცხოვრებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს, მთავრობასა და „სასარგებლო“ პარტიებს მხარი დაუჭიროს; ხოლო მეორე—სრულიად წინააღმდეგს აზრს იძლევა, იგი შესაძლოთ ვერა სცნობს სამღვდლოებას კვლავ ის მომაკვდინებელი ცოლდა („პოლიტიკანობა“) გამეორებინოს, რომელსაც სამღვდლოება დღემდე ეწეოდა.

ჩვენი წერილის მიზანია „სასულიერო მოამბის“ მკითხველებს ეს ორი დიამეტრალურათ წინააღმდეგი შეხედულება გააცნოს, რათა ხელი შეუწყოს ამავე საგნის შესახებ თვით ჩვენი სამღვდლოების საკუთარი შეხედულების გამორკვევასაც.

ა) დავიწყეთ პირველი შეხედულებიდან, რომელიც დაუფარავად აღიარებს, რომ სამღვდლოება აუცილებელათ უნდა ერეოდეს პოლიტიკაშიო. ამ შეხედულების მიმდევარი გაზეთები ერთის მხრით სცდილობენ გამოარკვიონ ის საფუძვლები ანუ მოტივები, რომლის ძალითაც იგინი შესაძლოდ და საჭიროდ სთვლიან პოლიტიკაში სამღვდლოების მონაწილეობას; მეორე მხრით არკვევენ, თუ სახელდობრ რაში უნდა გამოიხატებოდეს სამღვდლოებისა და ეკლესიის მონაწილეობა ხალხის პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურს ცხოვრებაში.



არ უნდა გვავიწყდებოდესო, — ამბობს ყაზანის სასულიერო აკადემიის ახალგაზნა პროფესორთა ყოველ-კვირეული ორგანო „Церковно-Общественная Жизнь“-ი, — რომ „ქრისტე იმისთვის მოვიდა ცოდვილსა და სნეულს ქვეყანაში, რათა ზნეობრივად გადაეხალისებია, გამოეხსნა და განეკურნა იგიო“. ხოლო პეტერბურგელ მღვდელთა ცნობილი ჯგუფი ამავე აზრს ასე გამოხატავს: „მოძღვარი სხვებს ქვეყნიდან კი არ უნდა ერეკებოდეს, არამედ უნდა ურჩევდეს ქვეყნადვე იცხოვრონ ქრისტეს მცნების თანახმად, რათა ბოროტებით დასნეულებული ქვეყანა გახადონ სასუფეველად ღვთისა ცხოველისა. ქრისტიანობას უყვარს ქვეყანა, როგორც შეუძლია უყვარდეს იგი მხოლოდ ღმერს, უყვარს მხსნელისა, ამაღორძინებლისა, ცხოველ-მყოფლისა და განმასულიერებლის სიყვარულით, უყვარს ყოველი ფოთოლი, ყოველი მცირე მცენარეც კი. ქრისტიანობა დედა-მიწიდან ცისაკენ სამგზავრო ბილეთი კი არ არის; იგი არ ივიწყებს ქვეყანას, არამედ სცდილობს ცამდის აიყვანოს იგი, სცხოს მარილი ქემშარიტებისა და სიმართლისა“. („Государств. Дума и Пастырь Церкви“). აქედან გამოჰყავთ შემდეგი დასკვნა: ეკლესია არ უნდა გაუბრდეს პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ ყოველთვის მზად უნდა იყოს მასში მონაწილეობა მიიღოს; ამას მოითხოვს თვით ქრისტიანობის დანიშნულება და მისი ძირითადი პრინციპი ქვეყნისადმი სიყვარულითაა.

„მართალიაო, — სწერს „Церковный Вѣстник“-ი, — იდეალური ეკლესია წმინდანების საზოგადოებაა, რომელსაც არც სახელმწიფო სჭირდება, არც საკუთრება და არც უფლება. ყოველივე ეს — ცოდვილისა და ნაკლულოვან ქვეყნის ცნებებია. მართალი რომ ვთქვათ, ქრისტიანს არავითარი პოლიტიკა არ სჭირდება. მაგრამ ეს იდეალი სავსებით განხორციელდება მხოლოდ დიდების სასუფეველში, როდესაც „გაუქმდება ყოველივე მთავრობა და ყოველი ხელმწიფებაო“. მანამდის კი, ამ ქვეყნიური მებრძოლი ეკლესია ნაკლულევანისა და ცოდვილი წევრებისაგანაა შემდგარი, რომელნიც ფიზიკურისა (სხეულის) და ზნეობრივ ბოროტებათა გარეგანს ზედ-მოქმედებას ექვემდებარებიან; იგი გარდუვალის აუცილებლობით იძულებულია თავისი ასპარეზი (სარბიელი) განვლოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტიქიურის ანტი-ქრისტიანულ წეს-წყობილებისა და მალაღობის ქრისტიანული იდეალის შორის კომპრომისის (დათმობის) ფარგალში. აი, სწორეთ, ამ კომპრომისის ფარგალში პპოებს გამართლებასა და სანქციას ქრისტიანისათვის „სახელმწიფოებრივობისა“ და „პოლიტიკის“ პრინციპი, როგორც პრინციპი ისეთ გარეგან საშუალებათა და პირობებისა, რომელნიც სუსტს ადამიანს უადვილებენ შორეულ და საკვირველ საღვთო ქალაქისაკენ მოგზაურობას, — იმ საღვთო ქალაქისაკენ, რომელიც უკვე ყოველგვარ პოლიტიკაზე მაღლა სდგას და არავითარის „ხელმწიფებით“, არავითარის „უფლებითა“ და

„სახემწიფოებრივობით“ დაბნელებული არაა. მეტრძოლი ეკლესიის მოვალეობას კი შეადგენს—მხოლოდ თანდათან გაქრისტიანებრივება ჯერ კიდევ ფერ-უცვლელის ქვეყნის ამ აუცილებელ თანამგზავრთა, მათი მაქსიმალური (რა ზომიდანსაც კი შესაძლოა ადამიანისათვის) გამსჭვალვა ქრისტიანული სიყვარულის პრინციპებით... ერთი სიტყვით, ეკლესიის მოვალეობაა— „სახემწიფოებრივ“ ურთიერთობათა გაქრისტიანებრივება... საამისოთ კი ეკლესიის წევრთათვის საჭიროა—თვით ქვეყნიურ სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ ურთიერთობათა სიღრმეში შევიდენ, შეიტანონ იქ, ნაცვლათ კანონიერ აუცილებლობისა, განმაცხოველებელი თავისუფლება და საკვირველმოქმედი ძალა სიყვარულისა, და ქვეყნიურ წყობილებას ნება არ მისცენ—თვისი უსრულობა გაიმარადისოს, ხელი შეუშალონ, საღვთო ქალაქის დიდების წინააღმდეგ, „ამა ქვეყნის მთავრის“ (უკუღმართი ძალების) ხელმწიფების აღყვავებას... ყოველი ჩვენგანი ცხოვრობს განსაზღვრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობათა ფარგალში, ყოველი ქრისტიანი ხმარობს ფულს ღ ატარებს კაპიტალისტური წარმოებით შექმნილის მატერიის ტანსაცმელს;... თვით საეკლესიო დაწესებულებანიც კი იძულებული არიან ბანკებს მიმართონ, თვისი საკუთრება პოლიციის დახმარებით დაიცვან, თავისი უფლებათა დასაცველათ კი—სამოქალაქო სასამართლოებს მიმართონ და სხვა... მაგრამ, თუ კი სახელმწიფოებრივს სტატიკაში შეიძლება მონაწილეობის მიღება, რათ არ უნდა შეიძლებოდეს იგი მის დინამიკაში? პირაქეთ, სწორეთ აქ, სახელმწიფოებრივი მექანიზმის წინსვლასა და განახლებაშია ეკლესიის ცხველმყოფელ ზედმოქმედებათა ნამდვილი ალაგია!!.. მართალია, დღემდე რუსეთის მთავრობა და მასთან ერთათ რუსეთის ეკლესიაც სახელმწიფოს გარეგან ცენტრალიზაციის პრობლემაში იყვნენ ჩაბმული და მის დაცვა-განმტკიცებას ესწრაფებოდნენ; დღევანდელი პოლიტიკა კი უმთავრესად დემოკრატიზაციისა და ეკონომიურ ურთიერთობა სოციალიზაციისკენაა მიმართული; მაგრამ მიზანი კი—საზოგადო სიკეთე—ერთი და იგივეა. ამიტომ, თუ კი რუსეთის ეკლესია დღემდე არ გაუზბოდა პოლიტიკას, არც ამას შემდეგ უნდა მოერიდოსო“.

ასეთია „Церковный Вѣстник“-ის აზრი ეკლესიისა და პოლიტიკის შესახებ. მოკლეთ იგი ასე შეგვიძლია გამოვხატოთ: ეკლესია ცხოვრობს ამ ქვეყნად და ამიტომ აუცილებელათ იძულებული იყო და არის პოლიტიკაში მონაწილეობა მიიღოს. ამგვარათ, ზემოთ დასახელებულს ორ მოტივს აქ კიდევ ორი ახალი მოტივიც ემატება: ეკლესია პოლიტიკაში მონაწილეობას უნდა იღებდეს არა მარტო მისთვის, რომ ამას მოითხოვს ქრისტიანული სიყვარული ქვეყნისადმი და ქრისტეს მოძღვრების უუმაღლესი დანიშნულება (გარდაქმნა ამ ცოდვილი ქვეყნისა ქრისტეს მცნების თანა-

ხმათ), არამედ, უმთავრესათ, ისტორიულ-ფაქტიური აუცილებლობა და წარსულის მაგალითი.

„Могилевскія Епархіальныя Вѣдомости“ ზემო აღნიშნულ ოთხს საფუძველს გარდა ასახელებს კიდევ ორს შემდეგს: მისი თანამშრომლის, სემინარიის რექტორის არქიმ. მიტროფანის აზრით, უკეთეს სამღვდელოება თანამედროვე პაპტიკულ ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში არ მიიღებს მონაწილეობას, ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს, სახელდობრ ეს კიდევ უფრო დააშორებს მას საზოგადოებაზე და მის კასტიურს კარჩაკეტილობას გადალიერებს. ამას გარდა „არ უნდა დავივიწყოთ, — დასძენს არქიმანდრიტი მიტროფანე, — რომ სამღვდელოება ნივთიერთათა ბევრგვართათა მრევლთან შეკავშირებული და მისთვის სულ ერთი როდია, რა პრინციპებზე მოეწყობა უკანასკნელთა კეთილ-დღეობაო“.

ამსახით: ქრისტიანული სიყვარული ქვეყნისადმი, უმაღლესი დანიშნულება ეკლესიისა, ისტორიულ-პრაქტიკული აუცილებლობა, წარსულის მაგალითი, შიში საზოგადოებაზე დაშორებისა და, უკანასკნელ, თვით სამღვდლოების ნივთიერი ინტერესი, — აი რა საფუძველებზედ ამყარებენ რუსეთის ზოგიერთი სასულიერო პუბლიცისტები თავის აზრს იმის შესახებ, რომ სამღვდლოება და ეკლესია უსათუოთ უნდა ჩაერიოს პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობათა სფერაში, უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ხალხის პოლიტიკურის და სოციალური განვითარების პროცესში.

ახლა განვიხილოთ იმავე პუბლიცისტების აზრი იმის შესახებ, თუ სახელდობრ რამდენათ და რა სახით უნდა იღებდეს სამღვდლოება მონაწილეობას სამშობლო ქვეყნის პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიურს ზრდა-განვითარებაში.

ჯერ-ჯერობით რუსეთის სასულიერო ჟურნალ-გაზეთებმა ყურადღება მხოლოდ შემდეგს ოთხს საგანს მიაქციეს ხალხის პოლიტიკურსა და სოციალურს ცხოვრებაში: ა) მუშებისა და, საზოგადოდ, მოსამსახურე პირთა გაფიცვებს, ბ) ხალხის მიერ სახელმწიფო და საბატონო მიწაწყლის მითვისებას, გ) სამღვდლოებისათვის დრამის აღკვეთასა და დ) საარჩევნო აფიტაციას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული საგნების შესახებ თვით ის გაზეთებიც კი, რომელნიც ზემო აღნიშნულ საფუძველებში ერთმანეთისაგან არ განირჩევიან, ერთს გარკვეულ აზრს ვერ იძლევიან; ხშირად იგინი ერთმანეთს უკიჟინებენ ზომაზე გადაჭარბებულს ერთგულებას არსებულ სახელმწიფო ფორმებისა და ეკონომიურ ურთიერთობათადმი. მაგალითად, გაზეთი „Правосл.-Русское Слово“ სასტიკად ებრძვის გაფიცულებებს და მათ ასალაგმავად საქორდ სთვლის უკიდურეს პოლიტიკურ ზომებს, ხოლო სამღვდლოებას ურჩევს: საეკლესიო კათედრიდან ჩააგონეთ გაფიცულებებს — მთავრობას დაემოღიწიონ და თავის ხვედრს დასჯერდნენ.

ამას არ ეთანხმება „Церковный Вѣстник“-ი, რომელიც სამართლიან-

ნად შენიშნავს, რომ, უკეთეს მღვდელმანაზემოაღნიშნული რჩევისამებრ მოაწყუთავისი ქადაგება, ეს იქნება არა მოძღვრება ეკლესიური, არამედ პოლიტიკანობაო. ამნაირის ქადაგებითაო, — ამბობს ამ ჟურნალის თანამშრომელი ბოგოლიუბოვი, — სამღვდლოება სასტიკ შეურაცყოფას მიაყენებს მშრომელ ხალხს, რადგან ვინც ასეთს ქადაგებას ამბობს, იმას მუშებზე წინააღმდეგე შედგენილი აქვს ყალბი აზრი, ვითომც იგინი არსებითად წინააღმდეგე იყვნენ ყოველგვარის მთავრობისა და გაფიცვაში ხედავდენ საუკეთესო საშუალებას იაფ გამდიდრებისათვისაო; დამჭირავებლებს კი იგი არ ეხება, ვითომც ესენი ყოველთვის უმანკო ცხვრები იყვნენ. ერთი სიტყვით, აქ პირდაპირ გამოჩნდება, რომ ამგვარი პრინციპების მიმდევარი მღვდელი გაბატონებულ და შეძლებულ კლასთა პარტიას ემხრობა და სრულიად დაშორებულია სახარების იდეალსაო. ამიტომაო, — დასძენს ბ-ნი ბოგოლიუბოვი, — ჩვენი ქადაგება პოლიტიკანობას კი არ უნდა მისდევდეს, ერთი პარტიისაგან მეორის დაჩაგვრას კი არ უნდა ესწრაფებოდეს; არამედ საეკლესიო კათედრიდან ჩვენ — ვალდებული ვართ ხალხს ვამცნოთ საღვთო სიყვარულის საუკუნო ქეშმარიტებანი, რომელთ წინაშეც ყოველმა მსმენელმა ქედი უნდა მოიდრიკოსო. კერძოთ, გაფიცულთ შესახებ ქადაგებაში ჩვენ მაინც და მაინც იმას კი არ უნდა ვსცდილობდეთ, რომ „ხაზინები“ დავიცვათ, არამედ უნდა ვეცადოთ, მუშებისა ღ „ხაზინთა“ საურთიერთო დამოკიდებულებაში წმიდა ქრისტიანული სიმართლე აღვადგინოთ, ადამიანთადმი სახარებისებური სიბრალული გავადვიდოთო. რასაკვირველია, ცუდია, როცა მუშები შფოთვენ, სხვის ქონებას ამტკვერებენ და ჰგლეჯენო, მაგრამ ხაზინების მხრივაც უღმერთობაა, როცა თავისი მუშები ამ უკიდურესობამდე მიჰყავთო“.

„არხანგელსკის ეპარქიალური უწყებების“ ერთ-ერთი თანამშრომელი ძლიერ გაუბრაზებიათ სხვა და სხვა გვარს „აგიტატორებს“, რომელთაც იგი სამშობლოს „მტრებსა“ და „მტაცებელ მხეცებს“ ეძახის; განსაკუთრებით მწარე საგონებელში ჩაუვლია იგი იმ გარემოებას, რომ ბევრგან გლეხებმა სამღვდლოებას „დრამის“ („дrama“) ძღვევა მოუსპეს და სახაზინო მიწები ძალით დაისაკუთრეს. და იგიც ურჩევს სამღვდლოებას, გაჩნდებიან თუ არა საიდანმე აგიტატორები, იმწამსვე გავიდეს ხალხში და კარგათ აუხსნას, თუ რა ვაჟბატონებიც ბრძანდებიან იგინი, როცა ხალხს ურჩევენ „ძალადობა იხმაროს და არსებული წყობილება დაარღვიოსო“; საჭიროა, აგრეთვე, მღვდელმა ხალხს განუმარტოს, რომ „შრომა ჩვენი უწყმინდესი მოვალეობა და აუცილებელი პირობაა ხალხის კეთილდღეობისათვის, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი კანონების სრულის მორჩილებითაო.“

ასევე უნდა მოიქცენ მღვდლები, იმავე გაზეთის აზრით, როცა, აგიტატორების ჩაგონებით ხალხი მღვდელს დრამის ძღვევას მოუსპობს (№ 1, — 1906 წ., გვ. 10—11).

დასასრულ, დიდს ყურადღებას აქცევენ რუსეთის სასულიერო პუბლიცისტები სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს. მათი აზრით, არსად მღვდელს არ ეშლება იმდენათ ფართო ასპარეზი, როგორც აქ, ამ არჩევნების დროს. ერთი სასულიერო გაზეთის აზრით, ამ შემთხვევაში სამღვდლოებამ „ხელმძღვანელობა“ უნდა გაუწიოს უბრალო და გაუნათლებელს გლეხკაცობას; მან უნდა ჩააგონოს გლეხკაცობას, რომ მისმა წარმომადგენლებმა სახელმწიფო სათათბიროში ერთმანეთს მტკიცეთ მისცენ მხარი და შექმნან ის მაგარი წრე („крѣпное ядро“), რომელზედაც უნდა დამსხვრეს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების მისწრაფებანი. („Минск. Епарх. Вѣдом.“ შეად. „Олонек. Епарх. Вѣд.“ 1905 г. № 22, стр. 658). ხოლო მესამე ჟურნალი ამ საზოგადო „პრინციპების“ ჩაგონებით არ კმაყოფილდება და პირდაპირ აღნუსხავს, თუ, სახელდობრ, რა და რა თვისებებით უნდა იყოს შემკული სათათბიროსათვის ასარჩევი კანდიდატი. აი ეს თვისებანი: ასარჩევ პირს „უნდა სწამდეს ღმერთი და უყვარდეს ჩვენი წმინდა მარლმადიდებელი სარწმუნოება“, უნდა „უყვარდეს თავისი ხალხი და პატივსა სცემდეს მეფის უფლებას“, უნდა „კარგათ მიჰყავდეს თავისი შინაური მეურნეობა და წესიერათ განაგებდეს საკუთარს ოჯახობას“ და სხვანი. („Кіевск. Еп. Вѣд.“ 1906 г. № 2). ერთი სიტყვით, გაუმარჯოს ბურჟუაზიას, მონარქიასა და მის ერთგულს სამღვდლოებსაო! აი, მოკლეთ, დაფარული დედა-აზრი ზემო აღნიშნული ტირადისა. ამას ვერ გასცილებია რუსეთის სამღვდლოთა უმრავლესობის იდეალი. \*)

ბ) განვიხილოთ ახლა მეორე შეხედულება. ამ შეხედულების მიმდევართა შორის ორი მიმართულება ემჩნევა. ზოგი მათგანი სრულიად უარჰყოფს მიწიერ ცხოვრებაზე და, მაშასადამე, პოლიტიკაზე მზრუნველობას, რადგან მათის აზრით, ქრისტიანის სამშობლო „ზეცა“-შია და არა ცოდვილს დედა-მიწაზე, რომლის შესახებაც მოციქულებმა პირდაპირ ბრძანეს: „ნუ შეიყვარებთ სოფელსა და რაც სოფელშიაო“; ამ აზრის მიხედვით იგინი სამღვდლოებას ურჩევენ, მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას არ შეეხონ, თანამედროვე საზოგადოებრივს მოვლენებზე ყური მოიყურეონ, თვალეზი დახუჭონ და მხოლოდ ის აღასრულონ მორჩილად, რასაც მათი ტიპიკონი და მორწმუნეთა ვიწრო სარწმუნოებრივი ინტერესები მოითხოვს.

მაგრამ ამ აზრს არ ეთანხმებიან მეორე მიმართულების მიმდევარნი. იგინი უარს აცხადებენ მხოლოდ „პოლიტიკანობაზე“ ანუ პოლიტიკურ სფერაში პოლიტიკურისავე და, საზოგადოთ, „ქვეყნიური“ სასწორ-საზომით ჩარევაზე, ამა თუ იმ პარტიის გინა მთავრობის მომხრეობაზე და სხვანი.

\*) ქ. ყაზანის სამღვდლოება მ:რტო თეორიას არ დასჯერდა და პირდაპირ შეუერთდა „17 ოქტომბრის პარტიას“ („Ц.-Общ. Жизнь“ № 4, 1906 г. стр. 140).

მაგრამ სრულიადაც არ ეწინააღმდეგებიან იმ აზრს, რომ ეკლესია ვალდებულია თავის წევრთა მიმდინარე სამოქალაქო ცხოვრებასაც აღევნოს თვალსაყური, გაჰციცხოს რაც გასაკიცხავია და მოიწონოს, რაც მოწონების ღირსია; მაგრამ ყოველსავე ამას ეკლესია და სამღვდლოება უნდა სჩადიოდეს მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა ქრისტიანობის ზნეობრივს პრინციპებს შეეხება, მათ არღვევს ან ეთანხმება; ერთი სიტყვით, ამა თუ იმ საზოგადო მოვლენას საეკლესიო კათედრიდან მსჯავრს უნდა სდებდენ მხოლოდ ზნეობრივ სარწმუნოებრივის, სახელდობრ ქრისტიანობრივი მორალის ძირითად დებულებათა თვალსაზრისით და არა პოლიტიკურის გინდ სოციალ-ეკონომიურის თვალთხედვის საზომით.

ამგვართ, აღნიშნულ მიმართულების მიმდევარნი წინააღმდეგი არიან მხოლოდ „პოლიტიკანობისა“. ამ აზრს იგინი ამნაირათ ასაბუთებენ:

„საზოგადოება რომ რომელსამე პოლიტიკურს პარტიას მიემხროს და მის შეხედულებათა გავრცელება დაიწყოს, ნუ თუ ამით იგი არ გაიმეორებს თავის ძველს ცოდვას? 17 ოქტომბრის მანიფესტით გაუქმებულა წყობილებისადმი სამღვდლოების დანაშაული ხომ სწორეთ მის პოლიტიკანობაში მდგომარეობდა: სამღვდლოება აძლევდა ამ წყობილებას სარწმუნოებრივს სანქციას, საეკლესიო კათედრიდან ჰქადაგებდა მის უცვლელობას, და ყოველ აზრს, ყოველს ცდას ხალხისას, ამ წყობილებას შესაცვლელად ქვემოდან დაწყებულს, ღვთის საწინააღმდეგოდ ცოდვად სთვლიდა. ვთქვათ, ახლა ღვთის მსახურებმა გაიწიეს ეგრეთ წოდებულ „უფლებრივი წყობილების“, „ნამდვილ რუსების“, გინდ „17 ოქტომბრის“ პარტიებისაკენ. დაიწყებს თუ არა სამღვდლოება ხალხში ამ პარტიათა აზრების გავრცელებას, უკანასკნელნი უბრალოდ ხალხის თვალში ისევ სარწმუნოებრივს სანქციას მიიღებენ; და სამღვდლოებაც კვლავ უწინდელს ცოდვას გაიმეორებს. თუ წინეთ იგი რელიგიოზურ სანქციას შეუზღუდველს მონარქიას აძლევდა, ახლა ეკლესია გახდება კონსტიტუციონალურ პარტიათა მოსამსახურე. და წინასწარმეტყველობა არაა საჭირო იმის გასათვალისწინებლად, რომ სამღვდლოების ეს ახალი კურსიც ისევე სამწუხაროთ გათავდება, როგორც 17 ოქტომბერს დასრულდა მისი ძველი სამოქალაქო ქადაგება—არსებულ წყობილების უცვლელობის შესახებ.“ („Новгор. Епарх. Вѣдом.“ № 24 1905 г.).

მეორე მხრით, ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდებს თავის თავს ეკლესიის მოძღვარი, უკეთუ იგი ერთს რომელსამე პოლიტიკურ პარტიას მიემხრობა. მაგალითად, როგორის გრძნობით შეხედება მოძღვარი იმ თავის მრევლთაგანს, რომელნიც მას პოლიტიკური რწმენით არ ეთანხმებიან, როცა უკანასკნელნი სააღსარებოდ მივლენ მასთან? ან კიდევ, სულის როგორი განწყობილებით ინახულებს მოძღვარი მძიმეთ ავთმყოფს ან მომაკვდავს თავის მრევლის კაცს, რომელიც მოწინააღმდეგე პარტიას ეკუთვნის? („Біевск. Епарх. Вѣдомости“).



თქმულის ძალით, ძლიერ ცუდათ იქცევიან ის პუბლიცისტები, რომელნიც სამღვდლოებას ურჩევენ—ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერიდ და ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მომხრედ გამოიცხადენ თავიო. სამღვდლოება არც ერთს პოლიტიკურ პარტიას არ უნდა ეკუთვნოდეს, ის ყველა პარტიებზე მაღლა უნდა იდგეს. და, თუ ვინცობაა, მღვდელს კითხავს ვინმე, რომელ პარტიას ეკუთვნის, უნდა უპასუხოს: „მე ვარ წვერი ქრისტეს პარტიისაო“. მართალია, პარტიათა გარეშე მდგომს სამღვდლოებას ზოგიერთები უკიყინებენ—ეგ ხომ „ჰაერში ჩამოკიდებულის მდგომარეობა“ იქნებაო. მაგრამ ამგვარმა შენიშვნამ ქვეშარიტი მოძღვარი არ უნდა შეაშინოს, რადგან, თუ სამღვდლოება მართლა „ჰაერში ჩამოკიდებული“ აღმოჩნდება, სამაგიეროთ მით უფრო „ახლო იქნება იგი ზეცასთან“. („Новгородск. Епарх. Вѣдом.“ № 1 (1906 г.).

რაც შეეხება, კერძოთ, სამღვდლოების მქადაგებლობითს მოღვაწეობას, ამ მხრივ მთელი მისი ყურადღება უნდა მიქცეული იქნეს ხალხის შინაგანს ზნეობრივს მსოფლიოზე, მის სულის განწყობილებასა, გრძნობებსა და შეხედულებებზე. დეე პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი შეუწყონ ხალხის გარეგან ურთიერთობათა გაუმჯობესებას, პოლიტიკურისა და სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის გარდაქმნას; სამღვდლოება უნდა ეცადოს, იმავე ინდივიდუუმებს შინაგანი მსოფლიო, გრძნობები და მისწრაფებანი განუსხეტაკოს, თანახმათ ქრისტიანობრივი სიყვარულისა, დაცემული და დაზარალებული გაამხნეოს, მჩაგვრელი ვაკიცხოს და შეაგონოს, კეთილს ხელი მისცეს და გზა უჩვენოს, ბოროტებას გზა ვადუღობოს და ხელი შეუშალოს. როგორც ქრისტეს მოადგილე, მოძღვარი ვალდებულია—ყველას მოუწოდებდეს ზნეობრივის განახლებიხადში, ჩაგონებდეს სულით განახლების საჭიროებას; მისი სიტყვა უნდა იყოს—**ზნეობრივი ქადაგება და არა პოლიტიკური აგიტაცია**. მემამოხეებს, გინდ მჩაგვრელებს იგი უნდა ენებოდეს არა როგორც მოქალაქეთ, არამედ როგორც ქრისტეს ეკლესიის წევრთ, რომელთაც დავიწყეს მაცხოვრის მცნებანი, შელახეს ქრისტიანობის ზნეობრივი პრინციპები. მართალია, ესეც თანამედროვე მოვლენათა შესახები ქადაგება იქნება, მაგრამ იგი იქნება ქვეშარიტი ქრისტიანული მოძღვრება და არა ამა თუ იმ პარტიის პოლიტიკური პროპაგანდა. („Церковь и Политика“ свящ. В. Сокольскаго, см. „Ц.-общ.-жизнь“, № 3—1906 г.).

რაც შეეხება მთავრობასთან ურთიერთობას, სამღვდლოება მისი მონა და აგენტი კი არ უნდა იყოს, არამედ შუამდგომელი ხალხსა და მთავრობას შორის, ხალხის გაქირვებულ მდგომარეობის მომხსენებელი და მისი ზნეობრივი მოხარჩლე. ამ უფლებით ფართოდ უნდა ისარგებლოს სამღვდლოება მთავრობის წინაშე; იგი უნდა ვახდეს თავდადებული შუამავალი („печальникъ“) ყველა იურიდიულათ და მატერიალურათ დაზარალებულთათვის;

პოლიტიკურ სფერაში სამღვდლოებას ამაზე მეტი არაფერი მოეთხოვება.  
(„Правосл. Пут.“, декабрь, 703. ნახ. „Ц.-ობ.-ж.“, стр. 103).

ასეთია რუსეთის სასულიერო ჟურნალ-გაზეთების შეხედულება პოლიტიკაში სამღვდლოების მონაწილეობის შესახებ. შემდეგს წერილში ვეცდებით ამავე საგნის შესახებ მკითხველს ჩვენი აზრიც გავაცნოთ.

არისტინი.

შენიშვნა ტფილისის სამღვდლოების 1905 წ. 12 დეკემბრის განაჩენის გამო.

„საქართველოს საეკსარხოსოს სასულიერო მოამბის“ 1905 წლის 23—24 ნომერში მოთავსებულია ბ. მწირის წერილი, რომლიდანაც სჩანს, რომ ავტორს არ მოსწონს ტფილისის სამღვდლოების განაჩენი საქმე შემოსავლის ამ გვარად განაწილების შესახებ: მღვდელს 3 წილი, დიაკონს  $2\frac{1}{2}$ , ხოლო მედავითნეს 2 <sup>1</sup>), და ურჩევს სამღვდლოებას გაანაწილოს საქმე შემოსავალი ამ რიგით: მღვდელმა აიღოს 2 ნაწილი, მედავითნემ კი 1.

თუმცა 12 დეკემბერს სამღვდლოება სხვა მიზნით იყო შეკრებილი და საქმე შემოსავლის განაწილებაზედ მსჯელობა, როგორც ბ. მწირიც ამბობს, ძალდატანების გამო იქონია, მაგრამ იმ დღევანდელი მისი განაჩენი, რამდენადაც იგი შეეხება საქმე შემოსავლის განაწილებას, ყოვლის მხრივ საგულისხმო და მოსაწონია.

მოგეხსენებათ, თუ რაოდენად ესაქიროება დღეს სამღვდლოებას მომზადებული და განათლებული მედავითნე. იქ, სადაც მედავითნე მოუმზადებელი და გაუნათლებელია, თვით მღვდლის საქმეც შეფერხებულია, თუნდაც მარტო იმის გამო, რომ  $\frac{7}{10}$  შემთხვევაში მღვდელი იძულებულია თვით შეასრულოს ზოგიერთი ისეთი საქმე, რომელიც პირდაპირ მედავითნის მოვალეობას შეადგენს, მაგ. აწარმოვოს საეკლესიო საბუთები. ამისათვის რაც უფრო მალე გამრავლდება მომზადებულ და განვითარებულ მედავითნეთა რიცხვი, მით უკეთესია თვით სამღვდლოებისათვის. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ საქართველოს სამღვდლოების დელეგატთა კრებამ მღვდლისა და მედავითნის განათლების ცენზი ერთგვარი დააწესა—საშუალო განათლება (§ 23). ხოლო საშუალო განათლების კაცი რომ წავიდეს მედავითნედ, ამისათვის საჭიროა, რომ თვით სამღვდლოებამ მეტი პატივი და თანაგრძნობა გამოუტყალოს მედავითნეთ, — საქმე შემოსავლისაგან  $\frac{2}{5}$  მიცემაც ამ

<sup>1</sup>) ე. ი. მანეთს იყოფენ: სადაც 1 მღვდელი და 1 მედავითნეა-60 კ. და 40 კ.; სადაც 1 მღვდელი, 1 დიაკონი და 1 მედავითნეა-40 კ.,  $33\frac{1}{3}$  კ. და  $26\frac{2}{3}$ ; ხოლო სადაც 2 მღ., 1 დიაკ. და ორი მედავითნეა-24 კ. 24 კ., 20 კ. 16 და 16 კ.

თანაგრძნობისა და პატივისცემის გამომხატველია... ამაზედ სიტყვის გაგრძელება მეტია...

ეს ხომ ასეა, მაგრამ 12 დეკემბერს ტფილისის სამღვდლოებას დარჩა გამოურკვეველი ერთი მეტად საყურადღებო მხარე საგნისა, — სახელდობრ: რას უნდა ეწოდოს საძმო შემოსავალი? სანამ ეს საკითხი არ გამოირკვევა, მანამდე კრებულის წევრთა შორის უშულო და უსიამოვნება არ მოისპობა. ეს ჩემთვის ცხადზე უცხადესი ქეშმარიტებაა...

ამ საკითხის გამოსარკვევად კი საქიროა მივიღოთ მხედველობაში თვით დიაკონთ და მედავითნეთა მიერ ხელ მოწერილი განცხადება გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე-2966 ნომერში. ამ განცხადებაში კრებულის უმცროსი წევრნი საქვეყნოთ აღიარებენ, რომ ისინი „კანონის ნებართვით გაყვლეფილნი არიან თავიანთ მღვდლებისაგან, ვინაიღგან მღვდლები ერთად მოგროვებულის ფულიდგან იღებენ ლომის წილს, ხოლო მათ გადაუყრიან ნახორ-მხახალს“. სხვანაირად რომ ვსთქვათ, აი რას ნიშნავს ეს გამოცანა: ჩვენ, კრებულის უმცროსნი წევრნი, მრევლის მიერ უფრო მეტად ვართ პატივცემულნი, ვინემ მღვდელთაგან. ნიშნად პატივის ცემისა მრევლი მღვდელ-მოქმედების შესრულების შემდეგ დაგვასაჩუქრებს ხოლმე ამა თუ იმ თანხით, მაგრამ მღვდლები კანონის ძალით გვაიძულებენ შევეუერთოთ ჩვენ მიერ მიღებული ფული მათ მიერ აღებულს და ამ ჯამიდგან გვაძლევენ მეოთხედ ნაწილს. ეს კი არის გაყვლეფა, ვინაიღგან ჩვენი საჩუქარი საძმო შემოსავლის  $\frac{1}{4}$  ბევრით აღემატება.

საესებით შევუერთდებოდი „მთავართა“ და „პრიჩეტნიკთა“ გულის წყრომას, რომ ეს მართალი იყოს, მაგრამ, საუბედუროდ, (თუ საბედნიეროდ?) ეს არ არის მართალი ყოველგან და ყოველთვის. პირად ჩემის დაკვირვებით უმეტეს შემთხვევაში მედავითნეს მღვდელთან შედარებით აძლევენ არა უმეტეს ერთის მეოთხედისა, ზოგიერთა მღვდლების დაკვირვებით არა უმცირეს ერთის მეოთხედისა, ხოლო მედავითნეთა აზრით minimum  $\frac{2}{3}$ . მაჴსადამე, რადგან სხვა და სხვა ალაგას არსებობს სულ სხვა და სხვა ჩვეულება და ამისგამო საქმის გაერთფეროვნება შეუძლებელია, მღვდლებისა და მედავითნეების მორიგება <sup>2)</sup> შეიძლება მხოლოდ ერთად ერთის საშუალებით: მღვდელიცა და მედავითნეც უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რასაც თითოეულს მათგანს მისცემენ.

ამ წესის შემოღება (ანუ, უკეთ აღდგინება, — ძველად ჩვენში ეს წესი მოქმედებდა) მიმაჩნია სამართლიანადაც და სასარგებლოდაც, ვინაიღგან იგი:

1) გაამუყაითებს კრებულის წევრთ, განსაკუთრებით უმცროსთ. იქ, სადაც მღვდელი არას მალავს (საუბედურათ, ესეც მოხდება), და ყოველივე

<sup>2)</sup> სახეში გვყავს ქალაქის სამღვდლოება.

შემოსავალი იწერება სამშო დავთარში, მედავითნე ხშირად მიეცემა ხოლმე დაუდევრობას. მოგეხსენებათ, რომ მღვდელ-მოქმედების აღსრულებისათვის მორწმუნე მიდის მღვდელთან, ხოლო უკანასკნელი მედავითნეს წამოიყვანს თუ არა, მრევლისათვის უმეტეს შემთხვევაში სულ ერთია. მედავითნეებოც ამით სარგებლობენ: გათენდება თუ არა, მედავითნე, მღვდლის დაუყოხავად, მიდის თავის კერძო საქმეზედ. თუ ვისმე დასჭირდა ამ დროს მღვდელი, უკანასკნელი იძულებულია ან მარტო შეასრულოს მღვდელ-მოქმედება, ან კიდევ მოიხმაროს გარეშე პირი, (უფრო ხშირად: ეკკლესიის მსახური, დარაჯი). ორსავე შემთხვევაში ანალები ფული მღვდელს მიაქვს სამშო ყულაბში მოსაქცევად. რას ჰკარავს მედავითნე? პირველს შემთხვევაში არაფერს, ხოლო მეორე შემთხვევაში გარეშე პირისაგან მიღებული საჩუქრის მეოთხედს, მღვდელი კი პირველს შემთხვევაში ჰკარავს მის მიერ აღებული ფულის  $\frac{1}{4}$  და იღებს მრავალ საყვედურს<sup>3)</sup>, ხოლო მეორე შემთხვევაში ჰკარავს გარეშე პირისაგან აღებული ფულის  $\frac{3}{4}$  და მის მიერ აღებული ფულის  $\frac{1}{4}$ . მაშინ კი, როცა კრებულის ყოველივე წევრი იძულებული იქნება, დაკმაყოფილდეს იმითი, რასაც თვით აიღებს,—ეს დაუზღვერობა თავისთავად მოისპობა: მედავითნე ეკკლესიის კარებს იშვიათად თუ მოშორდება შიშით, —ვაი თუ რაიმე მღვდელ-მოქმედება გამოიმეპროს და შემოსავალი დამაკლდესო.

2) განამტკიცებს კრებულის წევრთა შორის დისციპლინას, რომელიც ჩვენ, უნდა გამოვტყდეთ, გვაკლია. ვინაიდან მედავითნეს არავითარი მღვდელ-მოქმედების შესრულება არ შეუძლიან, ამისთვის თითოეულის საქიროების დროს მორწმუნენი მიმართავენ ხოლმე პირდაპირ მღვდელს და ისიც ნიშნავს ხოლმე დროს, როცა უნდა შესრულებულ იქმნას ესა თუ ის მღვდელ-მოქმედება. მორწმუნე დაიმედებული მიდის სახლში და თავის დროზე ჰოელის მღვდელს, მაგრამ აი გავადა კიდევ დანიშნული დრო,—მღვდელი არა სჩანს, გავიდა ნახევარი, მთელი საათი,—მღვდელი არ არის, მიხეზი? მედავითნე სადღაც წასულა და ჯერ არ დაბრუნებულა სახლში, და მღვდელიც მას უცდილია. მოთმინებიდან გამოსული მორწმუნე მიდის მღვდელთან, იძულებულ-ყოფს მოსძებნოს ვინმე გარეშე პირი და გაჰყვას მას წესის შესასრულებლად. როგორ გგონიათ: ვის აბრალებს მორწმუნე ამ უღისციპლინობას? მედავითნეს? სრულიადაც არა! მორწმუნის თვალში დამნაშავე მღვდელია, ვინაიდან იმას ვერ დაუმყარებია თავის კრებულში

<sup>3)</sup> დიდუბეში სამსახურის დროს ხშირად მომისმენია ამგვარი საყვედური: ორ დიკონში რატომ ერთი მაინც არ არის საყდარშიო!! შეიძლება სთქვან, თუ კი მღვდელი მიდისო? ვუპასუხებ: თუ საქმე აქვს მრევლში, არსად წავა, თუ წავიდა თვით მეტს ჰკარავს. მღვდლის შინ არ ყოფნის დროს, და ან მისი ნებართვით, მედავითნეს ყოველთვის შეუძლიან წავიდეს, სადაც მოისურვებს.

დისციპლინა... წარმოგიდგენიათ მღვდლის სულიერი მდგომარეობა? მგონია, რომ ამაზე ლაპარაკი მეტია... მაგრამ ეს კერძო მღვდელ-მოქმედების შესრულების დროს... ესლა შეახედეთ ეკლესიაში და იქაც იმავე უღისციპლინობას და უმუყაითობას დაინახავთ, განსაკუთრებით იქ, სადაც რამდენიმე მღვდელ-დიაკონ-მედავითნეა: წირვა ერთ დღეს რომ 10 საათზედ თავდება, მეორე დღეს ამ დროს დაწყებულიც არ არის! მიზეზი? იგივე უღისციპლინობა, თვითნებობა, რომელსაც მოსდევს ის, რომ ერთი მღვდელი რომ 9 საათზედ იწყებს წირვას, მეორე თერთმეტის ნახევარზე ძლივს მობრძანდება-ერთი მედავითნე რომ წირვის დაწყებისას მოდის, მეორე სახარების წაკითხვის დროს მოაკითხავს ხოლმე ამბავს, დადგება კლიროსზედ ცოტა ხანს, დაათვალიერებს მლოცველებს, ერთ-ორს დაამოქნარებს, გადიწერს პირჯვარს, დ იხურავს ქუდს და მ-ეშურება სახლისაყენ. ამ გვარი უღისციპლინობა, უწესობა არ მოწონს მრევლს და იგიც დაუდევარ და ურიგო კრებულის წევრს სტუქსავს იმითი, რომ მღვდელ-მოქმედებს შესასრულებლად ან სრულებით არ ჰპატ-ეობს, ან კიდევ გაცილებით უფრო მცირე საჩუქრით ისტუმრებს, ვინემ მის წინამოადგილეს, ანუ ამხანაგს. მაგრამ დაუდევარ კრებულის წევრს რა? იმას თუ მრველი ცოტას აძლევს,—სამაგიეროდ სამი ა ყულაბი იმედს აძლევს, რამდენსაც გულსმოდგინე და საქმის ერთგულს მისცემ-და ხოლმე და ამის გამო ის ბევრს არა რას ჰკარავს. მაშინ კი, როცა კრებულის თითოეული წევრი აძულებული იქნება დაკმაყოფილდეს იმით, რასაც მას მისცემენ,—კრებულის უწესო და ორგული წევრი ან სულ დაანებებს თავს სა სახურს ან და ყოველსავე ღონეს იხმარს შეასრულოს რიგიანად და ღირსეულად თავის მოვალეობა და ხელი შეუწყოს საეკლესიო დისციპლინის განმტკიცებას.

3. განათავისუფლებს კრებულის წევრთა შეზღუდულ სინდისს. წარ-მოიდგინეთ ღარიბი ოჯახი, სადაც მიიწვიეს კრებული ამა თუ იმ მღვდელ-მოქმედების შესასრულებლად. კრებულის ერთ-ერთი წევრი ხედავს, რომ ამ ოჯახიდგან ფულის გატანა „ცეცხლია დამწველი“, მაგრამ მეორე ასე არა ფიქრობს: მე ჩემი სამსახური შევასრულე და კიდევაც უნდა ავიღო გასამრჯელო და ეუბნება პირველს: არამც თუ მე,—შენც უნდა აიღო საშრომელიო, ვინაიდგან შენს ხვედრში მეც წილი მაქვსო...

არა უკეთეს მდგომარეობაში ჩავარდება ხოლმე კრებულის ერთ-ერთი წევრი იმ შემთხვევაშიაც, როცა მღვდელ-მოქმედებს ასრულებს ნათესავის ან მეგობრის ოჯახში. აქ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ფულის შეძლევას ვერცკო ჰბედავენ, ვინაიდგან, შეიძლება, ამითი აწყენინონ კიდევ მეგობარს — მონათესავე კრებულის წევრს, მაგრამ კრებულის მეორე წევრი ამას არ დაგიდევს: მე რომ მომცეს, ალბად შენც მოგცემდნენო, ან და შენ სხვანაირად გადაგიხდიან, და მე ამით ვზარალობო. პირველი უარს ამბობს მიიღოს

ნაწილი მეორეს ხვედრიდგან, მაგრამ უკანასკნელი მაინც ჯიუტობს: ფულით უნდა გაზომოს ყველაფერიო...

ამას ის არა სჯობიან, რომ კრებულის ორივე წევრი დაკმაყოფილდეს თავის საკუთარს ხვედრით და არა განიკითხოს აზნაურება (თავისუფლება) მისი სხვისა იჭვისაგან (სინიდისისაგან)? (1 კორ. 10, 23).

(დასასრული იქნება)

მდ. კ. ცინცაძე.

### ამგები და უმნიშვნელო

◆ საკუთარი კორესპონდენტი პეტერბურგიდან სწერს „ცნობ. ფურც.“ რედაქციას:

„რა კი რეაქცია გაძლიერდა, უწმ. სინოდის წევრებმაც სრულიად შეიცვალეს აზრი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ. მათი განზრახვაა სამუდამოთ მოსპონ ეს საკითხი. განზრახულია რეაქციონური რეფორმა; სახელდობრ, სრულიად მოისპოს ექსარხოსობა; დაწესდეს თანამდებობა ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსისა, იქნებიან ეპისკოპოსები იმერეთისა, გურია-სამეგრელოსი დამოკიდებულნი მხოლოდ სინოდისაგან. ამ რიგად, სრულიად უნდა მოისპოს საქართველოს ეკლესიის დღევანდელი სუსტი ავტონომია-კი. ლეონიდა და კირიონმა ცხარე პროტესტი განაცხადეს, რითაც უსიამოვნება გამოიწვიეს სინოდის კომისიის წევრთა შორის. ქართველ ეპისკოპოსებმა განაცხადეს; თვით საქართველოს სამღვდლოება განაზარტოვლებს ატოკეფალიას, განშორდება სინოდსო“.

◆ მოსკოვის მიტროპოლიტის ვლადიმერის შუამდგომლობის თანახმად, მოსკოვის ეპარქიაში დაარსდა განსაკუთრებული თანამდებობა მისიონერისა, და მიტროპოლიტისავე შუამდგომლობით ამ ადგილზე დანიშნულ იქმნა დეკანოზი ი. ვოსტორგოვი. „ცნობ. ფურც.“

◆ „კურსკის საეპარქ. უწყ.“ (№ 38) დაბეჭდილია ცხარე სტატია წინააღმდეგ აწარსებულის ჩვეულებისა, რომლითაც სამოწესრიგო კრებებზე მთავარს და მედავითნეს მღვდელზე ნაკლები ხმა აქვს, სახელდობრ: მთავარს  $\frac{1}{2}$  და მედავითნეს  $\frac{1}{4}$  ხმა მღვდლისა. ავტორი თხოულობს ყველას ხმების გათანასწორებას. ამ პროექტის წინააღმდეგ „ცერკოვნი გოლოსი“ (№ 4) სამართლიანად შენიშნავს: სამწუხაროდ, ხმების სრული გათანასწორება გამოიწვევს სხვა უარეს უსამართლოებას: რადგანაც მედავითნეთა რიცხვი მგტია, ვიდრე მღვდლებისა, ამისთვის ხმების გათანასწორების შემდეგ მედავითნეების კორპორაცია, თუ ეინიცობა ეს შესდგა, მეთაური გახდება ეკლესიის მსახურთა რჩევებზე.

◆ ვარშავის 8-კლასიან რუსულ-დასაწყის სასწავლებელში, პენკნოს ქუჩაზე, საღმრთო სჯულის გაკვეთილის დროს, სკოლის ოთახში შევიდა ექვსი კაცი და უბრძანაბა ვშვებს: ვხლავე ვადით აქედან; პოლონეთის მიწაზე თქვენ უნდა სწავლობდეთ პოლონურად და არა მოსკოვურად (რუსულად). ავტორტარებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს მასწავლებლების პროტესტს, რომ სკოლა იყო რუსული და იქ მართო რუსები სწავლობდნენო. ზოგი ბავშვი ძალით გადაიყვანეს პოლონურს სკოლაში, ზოგნი-კი ქუჩაში გაიფანტნენ. „იაროს საეპ. უწყ.“ № 5. 1906 წ.



◆ მოსკოვის სამღვდლოების კრებას მღვდელმა ნ. ცვეტნიკოვმა წარუდგინა მოხსენება საეკლესიო წეს-წყობილების აუცილებელი ცვლილების და სამღვდლოების ყოფა-ცხოვრების შესახებ. მომხსენებლის პროგრამაში შეტანილია შემდეგი მუხლები:

1) კრებულის ყველა წევრს უნდა ქონდეს ნება დაუთხოველად სხვაგან წასვლისა ორი კვირის ვადით; წევრი მოვალეა იზოვოს მაგიერი, რომელიც მის ნაცვლად სამრევლოში შეასრულებს მის მოვალეობას. მახლობელ მთავრობას მხოლოდ მოხსენდება ეს. 2) სამღვდლოებას მუდამ და ყოველგან უნდა ეჭიროს თავი სრული ადამიანურის ღირსებით: ეპისკოპოსის წინ არ უნდა მოიყაროს მუხლი, არ იხმაროს თხოვნა-მოხსენებებში მიანური სიტყვები, არ მიათვას დიდ კაცებს სეფისკვერი ზე სხ. 3) დალოცვის დროს მღვდელმა არ უნდა ამთხვევინოს ხელზე მორწმუნეთ. 4) ლოცვები მშობიარისა პირველ დღეს, ნათლისღებისა და სხვები საჭიროა გადაისინჯოს და შეეთანხმოს ქრისტიანულ სწავლის ჭეშმარიტ ხასიათსა. 5) საჭიროა დაწესდეს ერთგვარი წესი პარაკლისისა, პანაშვიდისა და წესის აგებისა. 6) საეკლესიო ზღაპრთა წიგნები გადაღებულ იქმნას საერო ენაზე და ამავე ენაზე სრულდებოდეს ღვთის-მსახურება. ეკლესიური ასოების ნაცვლად შემოღებულ იქმნას სამოქალაქო ასოები. 7) მოისპოს ეკლესიაში ფულის შეკრება. 8) საჭიროა გადაისინჯოს დადგენილებანი მარხვების შესახებ. პეტრე-პავლეს მარხვისთვის დადგენილ იქმნას გადაწყვეტილი ვადა. 9) კაბა და ანაფორა უნდა იხმარებოდეს მარტო ღვთის მსახურების დროს; სხვა დროს კი სასულიერო პირთ ნება ჰქონდეთ საერო ტანსაცმელში სიარულისა. გძელი თმის ტარება არ იყოს სავალდებულო. 10) ქვრივ მღვდლებს მიეცეთ ნება მეორე და მესამე ქორწინებისა. (კრიგ\* სავარკ. უწყ. № 3 1906 წ.)

მოყვანილ მუხლებს რუსული სხვა და სხვა სავარკიო ორგანოები დასძენენ:

1) განთავისუფლებულ იქმნას სამღვდლოება საქმის წარმოებისა და სამოქალაქო ოქმების შედგენისაგან ნათლობისა, ქორწინებისა და დასაფლავების დროს 2) მღვდელს არ ჰქონდეს აღკრძალული სასულიერო წოდებიდან თავისუფლად გასვლა. 2) მღვდლის ხარისხის მისაღებად განმზადებულთ ნუ დაევალებათ უთუოდ ცოლის შერთვა. მღვდლებს ნუ აეკრძალებათ განქორწინება იმ შემთხვევაში, როდესაც იმათი ცოლები მაცთური ცხოვრების არიან. 4) მოისპოს სამღვდლოებისთვის ჯილდოები. 5) გამოტანილ იქმნას ეკლესიებიდან ყულაბება ზე სანთლის ყუთი \*). 6) შემოღებულ იქმნას წირვა-ლოცვის ისეთი წესი, რომ ისე დიდხანს არ გასტანდეს ხოლმე და ამასთანავე დაცულ იქმნას მისი სიმშვენიერე და შინაარსი, მაგალ, გამოკლებულ იქმნას რამოდენჯერმე განმეორება კვერეჭებისა, გამოიტოვოს მშვიდობიანი კათაქმეველთა, რაიც დღეს მეტად ჩასათვლელია და სხ. 7) ქორწინება და დამარხვა შეიძლებოდეს ყოველდღე. ჯვრისწერა აკრძალულ იქმნას მხოლოდ ენების კვირას, 29 აგვისტოს, 14 ნკენისთვის და 5 იანვარს.

\*) სანთლის გაყიდვა ეკლესიაში შემოიღო ჩვენში მთავრმართ. თ. პავლე ციცივილიძე. ძველად საქართველოში ტაძრებში არ იყო მიღებული ფულის შეგროვება,

# Объявление.

„АМЕРИКАНСКІЙ ПРАВОСЛАВНЫЙ ВѢСТНИКЪ“

И „АНГЛІЙСКІЯ ПРИЛОЖЕНІЯ“

(Organъ Православной Американской Мисіи)

въ 1906 году.

Условія подписки: Одно русское изданіе „Американскаго Православнаго Вѣстника“ два долл. или четыре руб. „Англійскія Приложенія“ къ Амер. Прав. Вѣстнику (ежемесячно, книжками отъ 32 стр.) 1 долл. 50 п. или три рубля. „Амер. Прав. Вѣстникъ“ съ Англійскими приложеніями: три долл. или шесть рублей.

Адресъ: Rev. а. а. Hotovitzky 15 E. 97 th ste. New York City.

Содержаніе № 4. *Часть оффиціальная:* По благословенію Святѣйшаго Синода совершаемый въ праздникъ Входа Господня въ Іерусалимъ сборъ для Православныхъ въ Іерусалимѣ и Святой Землѣ.—Отъ редакціи „Правительственнаго Вѣстника“. *Часть неоффиціальная:* Прововѣднику. *Іона Бритолобоса.* —Краткій очеркъ церковно-исторической жизни Грузіи отъ появленія въ ней христіанства и до нашихъ дней. Свящ. *Н. Покровскаго.* —Проектъ реорганизаціи Грузинской церкви.—Обособленіе и единеніе. Свящ. *Н. Покровскаго.* —Библиографія.—Объявленіе შარტული პანეოზიუმები. ეკლესია და პალიტიკა. დინსტონისა.—შენიშვნა ტფილისის სამღვდლოების 1905 წ. 12 დეკემბრის განხილვის გამო. პლ. *კ. ციციშვილი.* — ამბები და შენიშვნები.

Исп. об. редактора, свящ. *Н. Покровскій.*

Редактирующій грузинскій отдѣлъ *Ил. Перадзе.*

Скорочечатня А. В. Кутателадзе. Фрейлинская ул., № 12.